



Tax • Audit • Consulting

შპს თერმოინდუსტრია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თერმოინდუსტრია“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თერმოინდუსტრიისა“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ნაშთი შეადგენს 1,071,850 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერს 1,020,109 ლარს). 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რომ ძირითადი საშუალებების ნაშთი ზუსტად და უტყუარად ასახავდა არსებულ მდგომარეობას.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ნაშთი შეადგენს 1,912,423 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერს 595,027 ლარს). 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი ზუსტად და უტყუარად ასახავდა არსებულ მდგომარეობას.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ ძირითად საშუალებებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, განმარტებულია ჩვენი დასკვნის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის „მმართველობის ანგარიშგებას“, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნის გამოკლებით. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა ჯგუფის მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და

- ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე “მსს ფასს”-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა ჯგუფი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

მამუკა მარდალეიშვილი
შპს თიემსი
14 დეკემბერი 2023
თბილისი, საქართველო



სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	5	34,636,814	28,534,371
ამონაგების თვითღირებულება	6	(23,299,116)	(20,622,967)
საერთო მოგება/(ზარალი)		11,337,698	7,911,404
კომერციული ხარჯები		(167,864)	(95,162)
პერსონალის შენახვის ხარჯები	7	(3,261,914)	(1,912,055)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10	(348,552)	(239,010)
სხვა საერთო ხარჯები	8	(2,823,052)	(1,791,367)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		4,736,316	3,873,810
ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	9	(197,170)	(119,782)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		1,441,271	1,086,234
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		5,980,417	4,840,262
მოგების გადასახადის ხარჯი		(362,200)	(460,833)
წლის მოგება/(ზარალი)		5,618,217	4,379,429
წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		5,618,217	4,379,429
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		5,012,705	3,854,871
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		605,512	524,557
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		5,618,217	4,379,428

დირექტორი: ლევან თურმანიძე



სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	მენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	5	34,636,814	28,534,371
ამონაგების თვითღირებულება	6	(23,299,116)	(20,622,967)
საერთო მოგება/(ზარალი)		11,337,698	7,911,404
კომერციული ხარჯები		(167,864)	(95,162)
პერსონალის შენახვის ხარჯები	7	(3,261,914)	(1,912,055)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10	(348,552)	(239,010)
სხვა საერთო ხარჯები	8	(2,823,052)	(1,791,367)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		4,736,316	3,873,810
ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	9	(197,170)	(119,782)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		1,441,271	1,086,234
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		5,980,417	4,840,262
მოგების გადასახადის ხარჯი		(362,200)	(460,833)
წლის მოგება/(ზარალი)		5,618,217	4,379,428
წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		5,618,217	4,379,428
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)			
განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		5,012,705	3,854,871
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		605,512	524,557
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		5,618,217	4,379,428

დირექტორი: ლევან თურმანიძე _____

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	1,071,850	1,020,109
არამატერიალური აქტივები	10	3,920	4,612
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,075,770	1,024,721
მარაგები		11,483,638	8,313,495
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,912,423	595,027
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	40,335
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	3,381,160	1,204,018
სულ მოკლევადიანი აქტივები		16,777,221	10,152,876
სულ აქტივები		17,852,991	11,177,596
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		948,825	948,825
გაუნაწილებელი მოგება		9,059,914	5,784,051
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი კაპიტალი		10,008,739	6,732,876
არამაკონტროლებელი წილი		1,106,947	816,775
სულ კაპიტალი		11,115,686	7,549,651
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13	2,896,961	1,630,080
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,896,961	1,630,080
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	3,128,309	1,517,356
საგადასახადო ვალდებულებები		199,464	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15	512,571	480,509
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,840,343	1,997,865
სულ ვალდებულებები		6,737,304	3,627,945
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,852,991	11,177,596

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი კაპიტალი	არამაკონტრო ლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	948,825	3,800,758	4,749,583	1,025,260	5,774,843
წლის მთლიანი სრული მოგება	-	3,854,872	3,854,872	524,556	4,379,428
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-	-
დივიდენდები	-	(1,871,579)	(1,871,579)	(733,042)	(2,604,621)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	948,825	5,784,051	6,732,876	816,774	7,549,651
წლის მთლიანი სრული მოგება	-	5,012,705	5,012,705	605,512	5,618,217
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-	-
დივიდენდები	-	(1,736,842)	(1,736,842)	(315,340)	(2,052,182)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	948,825	9,059,914	10,008,739	1,106,946	11,115,686

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2022 ლარი	2021 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	39,995,444	39,578,659
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(27,769,666)	(28,707,103)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(2,375,914)	(1,780,558)
გადახდილი გადასახადები	(6,417,248)	(5,798,348)
ფულადი სახსრების კორექტირება	-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3,432,617	3,292,650
ძირითადი საშუალებების (შეძენა)/გაყიდვა	(451,734)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(146,466)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(451,734)	(146,466)
ცვლილებები მიღებულ სესხებში	1,555,280	-
გადახდილი პროცენტები	(175,103)	(126,066)
გადახდილი დივიდენდები	(2,052,182)	(2,604,621)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(672,005)	(2,730,687)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	2,308,878.12	415,497.25
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(131,738)	(70,443)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,204,018	858,963
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,381,160	1,204,018

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს თერმოინდუსტრიისა (შემდგომში - „მშობელი კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიისთვის (შემდგომში ერთობლივად - „ჯგუფი“) 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

შპს „თერმოინდუსტრია“ (ს.კ.: 445411484) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 15/06/2012. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ბოხუას ქუჩა, № 1.

შპს „თერმოინდუსტრია“ ფლობს შპს „ჰელიოს“ მთლიანი წილის 70%-ს მისი დაფუძნების თარიღიდან.

შპს „ჰელიოს“ (შვილობილი კომპანია, ს.კ.: 402064635) ასევე არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 15/09/2017. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, კოსმონავტების სანაპირო, № 51ბ.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის და წყალმომარაგების სისტემების იმპორტი, რეალიზაცია და მათი სამონტაჟო მომსახურება.

მშობელი კომპანიის მფლობელობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 45% - დმიტრო შტეინგაუზი (უკრაინა);
- 45% - ნატალია ბარინოვა (უკრაინა);
- 10% - ლევან თურმანიძე (61004003603, საქართველო).

შვილობილი კომპანიის მფლობელობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 70% - შპს „თერმოინდუსტრია“;
- 15% - ვეფხვია თურმანიძე (61005002865);
- 15% - არჩილ ლობჯანიძე (35001004516).

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაზე სამხედრო თავდასხმამ ამ ორ ქვეყანას შორის ომი გამოიწვია, რის შედეგადაც ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს. მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში.

უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან და ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს იგი ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა თვალყურს ადევნებს შექმნილი ვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს ჯგუფსა და ზოგადად ეკონომიკაში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე შექმნილ ახალ ვითარებას ჯგუფზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად. მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ჯგუფი არ მოელის, რომ ომს არსებით უარყოფითი გავლენა ექნება ჯგუფის უნარზე, განაგრძოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. მომზადების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფი აღრიცხვას აწარმოებს და კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) უცხოური ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად ჯგუფის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც ჯგუფი თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ჯგუფი თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31.12.2022	31.12.2021
1 აშშ დოლარი / ლარი	2.702	3.0976
1 ევრო / ლარი	2.8844	3.504

ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

გ) ამონაგები და სხვა შემოსავალი

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ჯგუფმა მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

შემოსავალი სამონტაჟო მომსახურებიდან

შემოსავალი სამონტაჟო მომსახურებიდან ხელშეკრულებაში განსაზღვრულ კონკრეტულ საფასურს წარმოადგენს და აღიარდება საბაზისო მომსახურებების დასრულებისას შესასრულებელი მოვალეობების დაკმაყოფილებისთანავე.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს ფინანსურ ან/და სხვა არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, რომლებიც მსს ფასს (IFRS for SMEs) 23-ე განყოფილების („ამონაგები“) მიხედვით არ წარმოადგენს ამონაგებს.

დ) გადასახადები*მიმდინარე მოგების გადასახადი*

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფია ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მოწყობილობები და დანადგარები	12 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ვ) იჯარა

სადაც ჯგუფი არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

ზ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. მარაგები ხარჯებად ტარდება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდის გამოყენებით.

თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება

გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები. არაფინანსური აქტივები, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, მიმოიხილება გაუფასურების შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ჯგუფი განიხილავს რეზერვებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას. ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ანგარიშობს ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფი იყენებს საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელს, რომელიც დებიტორების მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს ერგება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. ამონაგები

	2022	2021
	ლარი	ლარი
შემოსავალი რეალიზიციიდან	34,280,849	28,066,153
შემოსავალი მომსახურებიდან	355,965	468,218
	34,636,814	28,534,371

6. ამონაგების თვითღირებულება

	2022	2021
	ლარი	ლარი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	23,263,329	20,552,387
სამონტაჟო მომსახურების ხარჯები	35,787	70,580
	23,299,116	20,622,967

7. პერსონალის შენახვის ხარჯები

	2022	2021
	ლარი	ლარი
შრომის ანაზღაურება	3,243,693	1,892,872
პერსონალის დაზღვევის ხარჯები	18,220	19,183
	3,261,914	1,912,055

8. სხვა საერთო ხარჯები

	2022	2021
	ლარი	ლარი
იჯარის ხარჯები	1,185,951	778,053
ბანკის საკომისიო	978,684	539,651
საწვავის ხარჯი	111,456	70,479
კომუნალური ხარჯი	92,726	66,699
თანამშრომელთა გადამზადება	81,251	21,578
საგარანტიო მომსახურების ხარჯი	63,573	11,857
სამეურნეო ხარჯი	55,937	30,915
წარმომადგენლობითი ხარჯები	30,119	26,428
იურიდიული მომსახურების ხარჯი	21,679	5,651
ქონების დაზღვევის ხარჯი	17,310	14,431
დაცვის მომსახურება	17,199	22,795
საკანცელარიო ხარჯი	13,599	10,910
ტრანსპორტირების ხარჯები	13,591	10,325
მივლინების ხარჯი	13,386	4,257
პროგრამული მომსახურების ხარჯი	12,431	10,618
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	8,525	95,458
ქონების გადასახადი	5,262	3,831
ავტომობილის ხარჯები	4,868	4,584
დაზღვევის ხარჯი	2,035	1,407
მოგებით დასაბეგრი ოპერაციები	1,613	7,039
სალარო აპარატის მომსახურების ხარჯი	1,137	888
სხვა ხარჯი	90,719	53,512
	2,823,052	1,791,367

9. ფინანსური ხარჯები

ჯგუფის ფინანსურ ხარჯებს წარმოადგენს ჯგუფის სასესხო ხელშეკრულების მიხედვით დარიცხული საპროცენტო ხარჯი, რომელმაც 2022 წლის მდგომარეობით შეადგინა 199,743 ლარი; 2021 წლის მდგომარეობით - 119,782 ლარი.

ფინანსურ შემოსავლებს წარმოადგენს 2022 წელს საბანკო მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი 2,573 ლარის ოდენობით.

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	შენიშნა- ნაგებობები	მოწყობილობები და დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>					
2021 წლის 1 იანვარს	484,966	74,882	413,711	245,440	1,218,998
დამატებები	98,579	-	46,746	311,878	457,203
გასვლები	-	-	(7,813)	-	(7,813)
2021 წლის 31 დეკემბერს	583,545	74,882	452,644	557,318	1,668,388
დამატებები	20,219	3,263	100,561	333,788	457,832
გასვლები	-	(1,072)	(22,751)	(57,502)	(81,325)
2022 წლის 31 დეკემბერს	603,764	77,073	530,455	833,603	2,044,895
<u>დაგროვილი ცვეთა:</u>					
2019 წლის 1 იანვარს	119,586	37,299	217,777	90,411	465,073
ცვეთის ხარჯი	61,145	5,737	40,597	81,020	188,499
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	(5,288)	-	(5,288)
2019 წლის 31 დეკემბერს	180,730	43,036	253,086	171,430	648,283
ცვეთის ხარჯი	93,160	9,459	74,621	185,153	362,394
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	(617)	(11,215)	(25,796)	(37,629)
2020 წლის 31 დეკემბერს	273,891	51,878	316,492	330,787	973,048
<u>საბალანსო ღირებულება:</u>					
2021 წლის 1 იანვარს	365,380	37,582	195,934	155,029	753,925
2021 წლის 31 დეკემბერს	402,815	31,845	199,558	385,887	1,020,109
2022 წლის 31 დეკემბერს	329,874	25,195	213,963	502,816	1,071,850

შენიშვნა: ჯგუფის უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკის უფლებით შპს თერმოინდუსტრიას საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად.

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამები, საბალანსო ღირებულებით 3,920 ლარი და 4,612 ლარი, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
	ლარი	ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან	1,125,086	526,908
საექვო ვალების ანარიცხი	(103,983)	(95,458)
გადახილი ავანსები	891,321	163,577
	1,912,423	595,027

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022	2021
	ლარი	ლარი
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,365,648	1,181,611
ნაღდი ფული სალაროში	15,512	22,407
	3,381,160	1,204,018

13. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	2022	2021
			ლარი	ლარი
სესხები ბანკებისგან	ლარი	15%	680,641	-
სესხები ბანკებისგან	USD	7.5%	1,351,000	929,280
სესხები ბანკებისგან	EUR	6%	865,320	700,800
			2,896,961	1,630,080

ჯგუფი 2018 წლიდან სარგებლობს კომერციული ბანკის საკრედიტო ხაზით. გენერალური ხელშეკრულება გაფორმებულია შპს თერმოინდუსტრიასა და მის დაკავშირებულ მხარესთან. სესხის გაცემა ხდება ტრანშებად მოთხოვნის შესაბამისად. სესხი უზრუნველყოფილია სესხის მიმღები კომპანიების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით.

14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2022	2021
	ლარი	ლარი
ვალდებულებები მოწოდებიდან	3,054,055	1,432,888
მიღებული ავანსები	41,057	51,707
გადასახდელი ხელფასები	33,197	32,761
	3,128,309	1,517,356

15. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021
	ლარი	ლარი
საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხი	499,414	474,997
გადასახდელი პროცენტები	13,157	5,511
	512,571	480,509

16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	მესაკუთრეები	სხვა დაკავშირებული მხარეები	მთავარი ხელმძღვანელობა
	ლარი	ლარი	ლარი
2022			
გაყიდვები	-	-	-
შესყიდვები (პროდუქცია)	-	-	-
შესყიდვები (მომსახურება)	-	1,069,422	-
გამოცხადებული დივიდენდები	2,052,182	-	-
გადახდილი დივიდენდები	2,052,182	-	-
სახელფასო ხარჯები	-	-	173,407
გადახდილი ხელფასები	-	-	173,407

	მესაკუთრეები	სხვა დაკავშირებული მხარეები	მთავარი ხელმძღვანელობა
	ლარი	ლარი	ლარი
2021			
გაყიდვები	-	-	-
შესყიდვები (პროდუქცია)	-	-	-
შესყიდვები (მომსახურება)	-	650,059	-
გამოცხადებული დივიდენდები	2,604,621	-	-
გადახდილი დივიდენდები	2,604,621	-	-
სახელფასო ხარჯები	-	-	161,366
გადახდილი ხელფასები	-	-	161,366

17. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ

ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფს საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფულად სახსრებთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები:

	2022	2021
	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,021,103	431,450
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,381,160	1,204,018
	4,402,262	1,635,468

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. ჯგუფი ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. ჯგუფი ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები:

	2022		
	3 -12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
სასესხო ვალდებულებები	2,896,961	-	2,896,961
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,087,251	-	3,087,251
	5,984,212	-	5,984,212

	2021		
	3 -12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
სასესხო ვალდებულებები	1,630,080	-	1,630,080
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,465,649	-	1,465,649
	3,095,729	-	3,095,729

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით:

	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
31.12.2022				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	1,021,784	1,021,784
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	420,012	816,413	2,144,734	3,381,159
	420,012	816,413	3,166,518	4,402,943
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
სასესხო ვალდებულებები	1,351,000	865,320	680,641	2,896,961
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,541,266	196,185	1,317,286	3,054,737
	2,892,266	1,061,505	1,997,927	5,951,698
წმინდა სავალუტო პოზიცია	(2,472,254)	(245,092)	1,168,591	(1,548,755)
31.12.2021				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	544,252	544,252
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	62,199	5,979	1,135,840	1,204,018
	62,199	5,979	1,680,092	1,748,270
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
სასესხო ვალდებულებები	929,280	700,800	-	1,630,080
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	379,662	632,439	533,590	1,545,691
	1,308,942	1,333,239	533,590	3,175,771
წმინდა სავალუტო პოზიცია	(1,246,743)	(1,327,260)	1,146,502	(1,427,501)

19. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მშობელმა კომპანიამ გაასხვისა შვილობილ საწარმოში მისი კუთვნილი წილი სრულად.

სხვა ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას ადგილი არ ჰქონია.

21. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერს.

დირექტორი: *ლევან თურმანიძე* _____

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გაასხვისა შვილობილ საწარმოში მისი კუთვნილი წილი სრულად.


სხვა ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას ადგილი არ ჰქონია.

21. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერს.

დირექტორი: ლევან თურმანიძე





შპს თერმოინდუსტრია მმართველობის ანგარიშგება (ჯგუფი)

2022 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

- ჯგუფის ისტორია და საქმიანობა;
- ჯგუფის განვითარების გეგმები;
- ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ;
- ასორტიმენტის მართვა;
- სოციალური და დაქირავებულებთან დაკავშირებული საკითხები;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

- ჯგუფის ისტორია და საქმიანობა;

ჯგუფი 2012 წლიდან ოპერირებს ბაზარზე გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის და წყალმომარაგების სისტემების სფეროში. პროდუქციის ფართო ასორტიმენტით ჯგუფისტაბილურად ლიდერობს ბაზარზე. შპს ტერმოინდუსტრია 2012 წელს დაარსდა, იგი ITALTHERM-ის ექსკლუზიური დილერია საქართველოში. ჯგუფის უმთავრესი ამოცანაა მომხმარებელი მრავალფეროვანი არჩევანითა და უმაღლესი სტანდარტის მომსახურებით უზრუნველყოს. სწორედ ამიტომ, ჯგუფი თანამშრომლობს მომწოდებლებთან, რომელთა პროდუქცია სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და ამავდროულად, ადაპტირებულია საქართველოში ექსპლუატაციისათვის. სპეციფიური დაკვეთის შემთხვევაში, პარტნიორების მხარდაჭერით, უმოკლეს ვადებში ხდება ინდივიდუალური მოთხოვნებით გამზადებული პროდუქციის მოწოდება. ჯგუფი სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან გაუწიონ მომხმარებელს კონსულტაცია ნებისმიერი სახის პროდუქტთან დაკავშირებით. ასევე, მომხმარებელს სთავაზობს ნებისმიერი სირთულის საინჟინრო სისტემების პროექტირებასა და მონტაჟს, მომსახურების სრულ პაკეტს საგარანტიო პერიოდის მანძილზე და უფასო საგანგებო, სატელეფონო კონსულტაციას 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე.

- ჯგუფის განვითარების გეგმები;

ჯგუფი ცდილობს გათბობის, გაგრილების, ვენტილაციისა და წყალგაყვანილობის სფეროში განვითარების პროცესს არ ჩამორჩეს, ამიტომაც ის მუდმივად ეძებს სანდო და საიმედო პარტნიორებს და ამყარებს მათთან მჭიდრო საქმიან ურთიერთობას, რის ხარჯზეც აწვითარებს თავის ბიზნესს, მათთან ერთად ჰქმნის ენერგოეფექტურ და საიმედო საინჟინრო ასორტიმენტს. კვალიფიციური ცოდნის, პროფესიული გამოცდილების, კეთილსინდისიერი სერვისის მეშვეობით ზრუნავს, რომ ორგანიზაციაში შეძენილი პროდუქცია მომხმარებელს მრავალი წლის განმავლობაში უქმნიდეს ჯანსაღ და კომფორტულ გარემოს. ჯგუფის მიზანია არსებული შემოსავლის ზრდა და გაფართოება. რომელსაც ზემო ხსენებული განვითარების ფაქტორებით ახერხებს. საცალო გაყიდვები სადილერო გაყიდვები კორპორატიული გაყიდვები გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის და წყალგაყვანილობის ბაზარზე დიდ ზეგავლენას ახდენს ტექნოლოგიური ინოვაციები. ახალი და მოწინავე პროდუქციის ხაზის შენარჩუნების მიზნით, რომელიც პასუხობს საბაზრო მოთხოვნებს, მუდმივად მიმდინარეობს ბაზარზე ინოვაციების მონიტორინგი. ახალი პროდუქციის გავრცელების მიზნით ხორციელდება საკონტრაქტო შეთანხმებები, მათ შორის, ახალ მწარმოებლებსა და დისტრიბუტორებთან. საცალო ქსელისა და კორპორატიული გაყიდვების პროგრესთან ერთად, შპს ტერმოინდუსტრია აქტიურად აწვითარებს სადილერო გაყიდვების მიმართულებას. 2018 წლიდან დაიწყო სადილერო ქსელის ათვისება. 2020 წლის ბოლოსთვის, მიღწეული იქნა დასახული მიზანი და შპს ტერმოინდუსტრიას პროდუქცია თბილისის მასშტაბით არსებულ საკვანძო და მნიშვნელოვან მაღაზიათა ქსელში იქნა წარმოდგენილი. დაგეგმილია სადილერო ქსელის გაფართოება. ასევე, მიმდინარეობს იმ რეგიონის შერჩევა, რომლებშიც ჯგუფი ჯერჯერობით თავისი ფილიალით არ არის წარმოდგენილი და სადაც იგი განახორციელებს ინვესტიციას. ჯგუფის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: ჯგუფის მიერ ბაზარზე წარმოდგენილი ბრენდების სიძლიერე, ფართო სპექტრის პროდუქცია სხვადასხვა საბაზრო

სეგმენტში, მენეჯმენტი და გამოცდილი გაყიდვების პერსონალი, ფინანსური მდგრადობა. ჯგუფის განვითარების წინაპირობები:

1. ბრენდული პროდუქციის იმპორტის უფლებები - პოპულარული ბრენდული საბაზრო პროდუქციის იმპორტირების ექსკლუზიური უფლება.
2. მართვის, კონტროლისა და ლოჯისტიკის სრულფასოვანი სისტემის შენარჩუნება, რომელსაც შეუძლია მართოს, გაუწიოს კოორდინირება და ეფექტური ზედამხედველობა საქონლის იმპორტს, შენახვას და საცალო გაყიდვებს;
3. ჯგუფის ყველა ტიპის საგარანტიო პროდუქციაზე საიმედო და ხელმისაწვდომი მომსახურებების და შეკეთების ორგანიზებული სისტემის მართვა;
4. პროდუქციისა და მოდელების ასორტიმენტი - მომხმარებელთათვის ფართო ნომენკლატურის პროდუქციის შეთავაზება, მათ შორის ცნობილი, სანდო მწარმოებლების, ისევე როგორც ნაკლებად ცნობილი მწარმოებლების ბრენდირებული ან არაბრენდირებული პროდუქციის შეთავაზება. ამავდროულად პროდუქციის ხელმისაწვდომობის მაღალ დონეზე შენარჩუნება და მომხმარებელთა მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება;
5. დაფარვა ქვეყნის მასშტაბით - იყოს წარმოდგენილი ყველა დიდ ქალაქსა და რეგიონულ ცენტრში.

ბიზნეს მოდელი: ზოგადი გარემო და გარე ფაქტორების ზემოქმედება ჯგუფის ოპერაციებზე ძირითადი ფაქტორები მაკროეკონომიკურ გარემოში, რომლებსაც გააჩნიათ ან შეიძლება იქონიონ გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე არის: ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში - საქართველოს ეკონომიკა პირდაპირ გავლენას ახდენს ჯგუფის ოპერაციებზე.

ქვეყანაში მომხდარმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ქცევაზე და შესაბამისად იმოქმედონ პროდუქციაზე მოთხოვნის დონეზე. როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდის რეცესიას, როგორც წესი, კლებულობს მომხმარებლების მხრიდან მოთხოვნა ელექტრო საქონელზე და აქცენტირება გადადის ძირითადი მოხმარების საქონელზე, რაც შედარებით იაფია.

გაცვლითი კურსის ცვლილება - ჯგუფის ძირითადი ოპერაციები მიმდინარეობს იმპორტირებულ საქონელზე, რომელთა შეძენაც ხდება უცხოურ ვალუტაში (ძირითადად აშშ დოლარში), მაშინ როდესაც ამ საქონლის გაყიდვა მომხმარებლებზე ხდება ლარში. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება გავლენას ახდენს მომხმარებელთა მოთხოვნაზე, რაც შემდგომ აისახება ოპერაციულ შედეგებზე.

ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ 2022 წლისთვის «შპს თერმოინდუსტრიას» მაღაზიათა ქსელი 7 ფილიალს შეადგენს თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. «შპს თერმოინდუსტრიას» მაღაზიები წარმოდგენილია შემდეგ ქალაქებში: კომპანიის მაღაზიების მისამართები: თბილისი: • ნოდარ ბოხუას ქ. N1 • გივი ამილახვარის ქ. 1 • ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. 32/34 • ბათუმი, ერისთავის 2 • ფოთი, ჭანტურიას 12 • ზუგდიდი, მეუნარგიას 12 •

შვილობილი კომპანია წარმოდგენილია მხოლოდ თბილისში, ერთი ფილიალით.

რისკ ფაქტორები

- ფინანსურ რისკებში შეიძლება შედიოდეს: ლარის გაცვლითი კურსის რყევა დოლარისა და ევროს მიმართ, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ინფლაციის ზემოქმედება და ა.შ.

ფინანსური რისკები

- მარაგების დეფიციტი - დარგი დამოკიდებულია მომწოდებლებზე. მომწოდებლის მიზეზით შექმნილმა მარაგების დეფიციტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის შედეგებზე.

- მარაგების შესყიდვა დამოკიდებულია გაყიდვების მიზნებზე; შეკვეთებში არსებულმა შეცდომებმა შესაძლოა გამოიწვიოს მარაგების სიჭარბე (ჭარბი ხარჯები) ან მარაგების სიმწირე (შემოსავლის დაკარგვა). პრობლემები მარაგებთან დაკავშირებით

- ჯგუფის მიერ იმპორტირებული პროდუქციის დაგეგმვის ან/და წარმოების ტექნიკურმა ხარვეზმა შესაძლოა გავლენა იქონიოს მომხმარებელთათვის მიწოდებულ მთელ რიგ პროდუქციაზე. ამან შეიძლება გაზარდოს ჯგუფის მიერ გარანტიაზე და შეკეთებაზე გაწეული ხარჯები და დააზიაროს ჯგუფის, ისევე როგორც მის მიერ იმპორტირებული ბრენდისა და საქონლის რეპუტაციას. პროდუქციის ტექნიკური გაუმართაობა

- სახელშეკრულებო შეთანხმებები ზოგიერთ მომწოდებელთან, რომლებიდანაც ჯგუფი ახდენს პროდუქციის იმპორტს, რაც არაა ასახული ხელშეკრულებაში წერილობითი ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის საქმიანი ურთიერთობები კონკრეტულ მომწოდებლებთან შეიძლება იყოს კარგი, მწარმოებლებმა შესაძლოა გადაწყვიტონ ჯგუფთან ზოგიერთი ან ყველა სახელშეკრულებო შეთანხმების გაწყვეტა. სახელშეკრულებო შეთანხმებები

- აღნიშნულ სფეროში არსებული მძაფრი და უწყვეტი კონკურენცია შესაძლოა უარყოფითად აისახოს ფასებზე და აქედან გამომდინარე ჯგუფის რენტაბელობაზეც. კონკურენცია

- ჯგუფის გაყიდვებზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის შენეებამ. მოსახლეობის შემცირება - ბოლო წლებში ფიქსირდება მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, შესაბამისად, გადაანგარიშების შედეგად გაიზარდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე. სამომავლოდ, მოსახლეობის შემცირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე.

დაქირავებულებთან დაკავშირებული საკითხები:

დასაქმებულთა ქცევა, შრომა, მომხმარებელთან და ერთმანეთთან ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსით, ორგანიზაციის შინაგანაწესით და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტებით. ორგანიზაცია დამატებით უზრუნველყოფს თანამშრომლების დაზღვევას და სხვადასხვა მამოტივირებელ აქტივობებს. შუა რგოლის მენეჯერებთან ერთად, წინასწარ შეთანხმებული პერიოდულობით ხდება თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს შეფასება და მიღებული შედეგებზე დაყრდნობით შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა. აქტიურად გამოიყენება, როგორც წახალისების პროცედურები, ასევე დისციპლინარული საწესიერება.

ზეგავლენის მაჩვენებელი

- რისკ ფაქტორები მაღალი

- სახელშეკრულებო შეთანხმებები მაღალი

- კონკურენცია მაღალი
- ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში მაღალი
- ფინანსური რისკები საშუალო
- პრობლემები მარაგებთან დაკავშირებით დაბალი
- პროდუქციის ტექნიკური გაუმართაობა

დასაქმებული ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები, შინაგანაწესით თუ სხვა შიდა ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები. მისი დარღვევის შემთხვევაში დასაქმებულს შესაძლოა დაეკისროს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები:

- გაფრთხილება.
- საყვედური.
- სასტიკი საყვედური.
- ფულადი სანქცია.
- სამსახურიდან გათავისუფლება.

ყველა ზემოთ აღნიშნული დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება დასაბუთებული უნდა იყოს წერილობით. დასაქმებულთა წახალისება ხდება სამუშაოს შესრულების პროცესში მოპოვებული წარმატებისათვის. შეიძლება გამოიყენებულ იქნას წახალისების შემდეგი სახეობები:

- მაღლობის გამოცხადება;
- თვის/წლის საუკეთესო თანამშრომლის წოდება;
- მატერიალური წახალისება (დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება, ერთჯერადი პრემია, ხელფასის მატება)
- პოზიციური დაწინაურება.

დასაქმებულის მიერ მოპოვებული წარმატებისათვის თუ აღმოჩენილი დარღვევის შესახებ გასატარებელი დისციპლინარული საქციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, ინიციატორის მიერ მიწოდებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. დადებითი გადაწყვეტილება ფორმდება წერილობითი ბრძანებით. სტრუქტურა და სამტატო განრიგი ორგანიზაციის სტრუქტურას და სამტატო განრიგს ამტკიცებს დირექტორი. სამტატო განრიგსა თუ სტრუქტურაში ნებისმიერი ცვლილების ინიცირებას ახდენს იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც უნდა შეეხოს ცვლილება და ამტკიცებს გენერალური დირექტორი. დაუშვებელია იმაზე მეტი თანამშრომლის აყვანა, ვიდრე ეს ჯგუფის სამტატო განრიგითა და სტრუქტურით არის განსაზღვრული.

ახალი სამტატო ერთეულის შექმნის, ან სამტატო ერთეულის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

- სამუშაოს მოცულობის ცვლილება (ზრდა/შემცირება);
- ფუნქციური ცვლილება სტრუქტურულ ერთეულში (ახალი ფუნქციის გაჩენა, ან/და ძველის გაქრობა);
- ტექნოლოგიური სიახლის დანერგვა სტრუქტურულ ერთეულში;
- რეორგანიზაცია.

სამტატო განრიგში ან/და სტრუქტურაში ცვლილებებისას, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ინიციატივა უნდა იყოს დასაბუთებული წერილობით. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები საქმიანობის გაფართოვებასთან და პროცესების დახვეწასთან ერთად, ყოველწლიურად იზრდება ჯგუფის შემოსავლები და დასაქმებულთა რაოდენობა. ციფრები მოცემულია ათას ლარში. საქმიანობის სრულყოფილად მართვისა და კონტროლის მიზნით, ჯგუფში დანერგილია სპეციალური ე.წ. ERP სისტემა „1C ERP 8.3“, რომელიც მოიცავს არა მარტო ფინანსურ მოდულებს არამედ, ჯგუფში მართვისთვის საჭირო ისეთ მოდულებსაც როგორიცაა მაგ. ადამიანური რესურსების მართვა და ა.შ.

